



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**შ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„04“ „03“ 2015 წელი

ეგზ N1

სსიპ “**ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი**”

2013 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული საანგარიშო პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიში N 22/00

თბილისი, 2015 წელი

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ფორმა N1 - ბალანსი	5
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	6
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	7
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ.....	8
ფორმა N5.1 - ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.....	9
ფორმა N6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	10
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	11
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
3. შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.....	12

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად ასახავს ცენტრის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს.

მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მიხედვით¹, აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ცენტრი, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს უცხოურ ვალუტაში.
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის² მიხედვით, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი, ხოლო ცენტრი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე საბუღალტრო ჩანაწერებს ახორციელებს საკასო მეთოდით.


აუდიტორთა ხელმოწერა:

(უფროსი აუდიტორი)

ნათია გამყრელიძე

(აუდიტორი)

თეონა ავალიანი



¹ მუხლი 11 და 12

² მუხლი 9, პუნქტი 3

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	2012	2013
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1,490,924	1,496,860
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	54,070,621	91,675,703
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	55,561,545	93,172,563
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	55,561,545	93,172,563
სულ კაპიტალი	55,561,545	93,172,563
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	55,561,545	93,172,563

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებ ული გეგმით	დაზუსტებ ული გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრი ვი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	24,275,000	28,283,000	26,876,667	26,424,062	26,424,062	26,418,126	(5,936)
სუბსიდიები	24,275,000	28,283,000	26,876,667	26,424,062	26,424,062	26,418,126	(5,936)
სულ	24,275,000	28,283,000	26,876,667	26,424,062	26,424,062	26,418,126	(5,936)

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
შენობა-ნაგებობები			
საგზაო მაგისტრალები	30,677,077	30,652,562	30,652,562
გზები	155,260,540	146,119,827	146,119,827
გვირაბები	7,306,304	7,306,304	7,306,304
სულ შენობა-ნაგებობები	193,243,921	184,078,692	184,078,692
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			
სატრანსპორტო საშუალებები	169,700	169,700	169,700
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	74,078	33,438	33,438
სულ მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	243,778	203,138	203,138
არაწარმოებული აქტივები			
მიწა	7,511,742	7,511,742	7,511,742
სულ არაწარმოებული აქტივები	7,511,742	7,511,742	7,511,742
სულ არაფინანსური აქტივები	200,999,441	191,793,572	191,793,572

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2012	-
სადებეტო ბრუნვა 2013	
სუბსიდიები	26,418,126
ფინანსური აქტივები	151,961,408
სხვა ეკონომიკური ნაკადები	2,230,790
სულ სადებეტო ბრუნვა 2013	180,610,324
წმინდა ღირებულება 31/12/2012	55,561,545
საკრედიტო ბრუნვა 2013	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	218,217,634
სხვა ეკონომიკური ნაკადები (კრედიტი)	3,708
სულ საკრედიტო ბრუნვა 2013	218,221,342
წმინდა ღირებულების ცვლილება 2013	273,782,887
წმინდა ღირებულება 31/12/2013	93,172,563

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

ფორმა N5.1 - ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება
სხვა დებიტორული დავალიანებები	3,708	2,230,790
სულ ფინანსური აქტივები	3,708	2,230,790

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

ფორმა N6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	რაოდ.	ლირებ.	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
ჯიშები და პიკაპები	2	56,250	10,490	270	6,544	3,676	10,491	270	6,545	3,676
სულ	2	56,250	10,490	270	6,544	3,676	10,491	270	6,545	3,676

1. ზოგადი ინფორმაცია

ცენტრი წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შექმნის შესახებ გამოიცა 2000 წლის 21 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №161, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი უფლებამონაცვლე. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ცენტრის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიღებული კრედიტები, სესხები, რომელთა დაბრუნებაზეც თავად სახელმწიფოა პასუხისმგებელი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიები.

ცენტრის ძირითად მიზნებსა და ფუნქციებს წარმოადგენს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და სტაბილური ზრდის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ცენტრში საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო და ა.შ.) საინვესტიციო პროექტების განხორციელების საკონსულტაციო დახმარება.

ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. 1997 წლიდან ცენტრის დირექტორია გიორგი ცაგარელი. სსიპ-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #12.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრონციპები

მომზადების საფუძველი

ცენტრი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე ბუღალტრულ აღიცხვას აწარმოებს საკასო მეთოდით საჯარო სექტორის ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდის („სსბას (IPSAS) - საკასო მეთოდი“) შესაბამისად.

ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

3. შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ცენტრი ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს უცხოურ ვალუტაში. წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში გაწეული ხარჯების გადაფასება ეროვნულ ვალუტაში ხდება ოპერაციის შესრულების მომენტისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. გარკვეულ შემთხვევებში, სსიპ-ის გვერდის ავლით, კონტრაქტორ ორგანიზაციასთან ანგარიშსწორება ხორციელდება დონორი ორგანიზაციის მიერ და შესაბამისად ოფიციალურ გაცვლით კურსს ადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ან ფინანსთა სამინისტრო. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ცენტრმა გამოიყენა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები

	2012	2013
1 აშშ დოლარი (USD)	1.6567 ლარი	1.7363 ლარი
1 ევრო (EUR)	2.1825 ლარი	2.3891 ლარი